

თუცა პირდაპირ გინდობთ და „საქართველომ“ არ დაგიპოვებთ, მაგრამ თქვენი აღიარება გავიწყობ და გიგზავნით.

საქართველო

თ ა ვ ი ს უ შ ა ლ ი ო რ გ ა ნ ო ლ

წლიური ტახი—5 მანეთი
თვითთველი ნომერი—25 კაპ.

№ 8.

წელიწადი პირველი.

1 იანვარი 1904 წ.

№ 8.

უმტრინესად ვსთვლთ ყველას, ვინც თანავეგონძობს, მოგვარდნ სოღმე ყოველგვარი მასალა, რვეორც ქართულს, ისე ტრანგულის გამომცემისათვის: დოკუმენტები, წიგნები, კორესპონდენციები და წერილები.

რადგან ჩვენი გასეთი ჯერ-ჯერობით ერთადერთი თავისუფალი დრგანია, ამიტომ შიგ ადგილი დაეთმობა ყოველნაირ მიმართულების წერილებს, რემელთაც აწრად ექნებათ რედაქციის და ადმინისტრაციის ადრუხი: **51, rue Saint-Sauveur, PARIS.**

ქართველ ხალხის ინტერესთა გამოსარჩლება. მსოღლდ რედაქცია ამა თუ იმ წერილს თავის მერინგნახაც გაუკეთებს.

მკითხველს ვსთვლთ ყოველი ნომერი „საქართველოში“, წავითხვის შემდეგ. სხვებსაც ვადახცხვ სოღმე, რათა ამ ხანით ხელი მეუწყოს ჩვენი გასეთის გავრცელების საქმეს.

ყოველი შემდწინრულება რვეორც ფულით, ისე წიგნებით, დიდის მადღობით მიიღება.

ცალკე ნომრები ისყიდება:

SOCIÉTÉ NOUVELLE de LIBRAIRIE & d'ÉDITION.
17, rue Cujas. PARIS (V^e).

ზ ი ნ ა ა რ ს ი

კავკასიის მთავარ-მართებლის, თ. გოლიცინის დაცხრის გამ. — ქართულ ცნობრების მართანე. — „ისკრის“ კორესპ. კავკ. სოც.-დემოკრატის მესახემ. — გლეხთა მოღმრადბა საქართველოში, X-სა (ბოღლ). — სომეხთა და მაკედონელთა უფლებათა დასაცავად გამართული ინტერნაციონალური კონგრესი. — თანავრძინობანი „საქართველოდსადმი“. — ვლადიმირ გენსოველი. — გოლიცინის სახასლის აფეთქების განსრანკა. — თავისუფალი წერილები, სეპარატისტისა (ბოღლ). — რუსეთის ქორნიკა. — „საქართველოც“ მკითხველებს. — ფოსტა. — განცხადება.

კავკასიის მთავარ-მართებლის, თ. გოლიცინის დაჭრის გამო.

ვინც თვალ-ყურს ადევნებს კავკასიის საქმეების მიმდინარეობას, არ გაუკვირდებოდა 14 თქტომბერს ტვილისში მომხდარი ამბავი. სომხის ხანოგადობის უკმაყოფილებამ უმაღლეს წერტილამდე მიადწია. ამ უკმაყოფილების მიწეხს იმგვარი ხასიათი ჰქონდა, რომ გასაკვირველი არავისთვის უნდა იყოს, რომ იგი ბოღლს სისხლის დგრამი და მურის-ძიებამი გაბოღისხა. ყოველივე კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის მიერ იყო გამოწვეული. მან შეურაცხჰყო სომხის ხალხი, ადამოღთა მშვიდობიანი ხანოგადობა თავის ძალმომრეობით და ნუ თუ საკვირველია, რომ სომხის ხალხმა ქედი არ მოიხნარა და დირხეული პასუხი გასცა მთავრდბას?

საქმე 1897-ში დაიწყო. ამ წელს სომეხთა სამრველო სკოლები საერო განათლების სამინისტრლს უწყებას დაუქვემდებარეს. სკოლების ქონება, რომელიც უმეტეს შემთხვევამი ეკლესიებისა და მოღასტრების კუთხნილებად ითვლებოდა, სამინისტრლს ჩაჭბარდა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, უხინგრვილოდ ძალ-მომრეობა იყო, რადგან სომხის ეკლესიას და-

მოუკიდებელი ხასიათი ჰქონდა და მისი წინამძღოლის ნება-დაურთველად ეკლესიის ქონებას ხელს ვრეგინ ახლებოდა.

ამ გარემოების გამო სომხებმა დავა დაუწყეს ადმინისტრაციას და ბევრმა მოიგო კიდევაც სექმე. მართლაც და სამინისტრლს არავითარი უფლება არ ჰქონდა სხვის მამულის დასაკუთრებისა. ეს იყო უმთავრესი მიწეწი, რომ თ. გოლიცინმა 1898 წელს აღმრა კითხვა სომეხთა საეკლესიო ქონების ჩამორთმევის მესახემ. ხელმწიფის ბრძანებით მესდგა განსაკუთრებული კომისია ამ საგნის გამოსაკვლევათ. კომისიამ ერთხმად უარ-ჰყო თ. გოლიცინის წინადადება. ამის შემდეგ მთავარ-მართებელმა კადაციანა საქმე სახელმწიფო საბჭოში. აქაც არ შეიწყნარეს მისი აზრი და წრეულს ეს საგანი ჯიუტმა თავადმა მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა განსახილველად და იქ, პობედონოსევის და პლეკანს დახმარებით, მიადწია თავის მიხანს, ე. ი. მეტადლა სომეხთა კათოლიკოსის უფლებანი, მეხრო სომხის ეკლესიის ქონებას, იმ ქონებას, რომელიც მარტო რუსეთის სომხებს ეი არ ეკუთვნისთ, არამედ მთელ სომხის ხალხს და რომელსაც, ამ მოღასრების გამო, არ უნდა დაჭბატონებოდა.

1897 წ. მომხდარმა ამბებმა დიდი მთაბეჭდილება მოახდინეს სომხის ხალხსე. მამინ აბობით დაიკუტა სომხის სკოლები, წიგნთ-საცავები, მოღასე სიგდგნლე ფილანტროპიულ და წერა-კითხვის საზოგადოებებს. ყოველივე ეს მთავრდბამ სისრულეში მოიყვანა ბრიყვულად, ხასტიკად, ავანაკურად. ყველას ახხვს ხანოგადობის აღმოღოთება იმის მესახემ, რომ სოგოერთ სკოლიდამ მთავრდბის აგენტებმა ურხი მასწავლებელი ქალები თმების თრევით გამდათრიეს გარეთ. ყველას ახხვს დატუსადება და დევნა მღვდლებისა და ყველა იმ პირებისა, ვინც «საეჭვო პირად» მიახნდა მთავრდბას.

ამრიგად 1897 წლიდამ სომხის ხალხი და მთავრდბა ორ მოპირდაპირე ბანაკად გაიყო. ხალხში ბუნებრივად გაიხარდა სიძულვილი და განრისხება. სოღლ მთავრდბის წრეებში მომხადდა და გამდორკვა სომეხი, რომელთაც «სამუღამოდ» ბოღლ უნდა

ადგილობრივ მემწავლელს საგანი. ყველაფერ ახეა: ჩვენში, რასაკვირველია სხვაანაირად უნდა იყოს: საქართველო რუსეთის გუბერნიაა, ყოველი ჩვენი განძი მონღოლების ხელშია და არამც თუ გადატანა, დასაკუთრებაც შეუძლიათ.

ჩვენი ხმას არ ამოვიღებდით, ამ დასაკუთრების მიმომ რომ არ გვეჩინოდა. პირველი შაგალითი არ არის. ქუთაისის გუბერნატორის, ლევაძევის ბინაზედა ჯერ არ დაგვიწყობია. აგერ ესლახანაც წაიღეს სვანეთიდან ერთი მკირთაისი ხატი და რასაკვირველია აღარ დაუბრუნებენ. სამქუსნარდო, არც გრად. უფროდისას და მით უმეტეს რეკტორ პლატონის იმედი არა გვაქვს. ძლიერ ვეკვდებით, რომ ამ წაღებულ ნივთებს დააბრუნებენ.

და ახე, მთავრდების და მის მღამსახურეთა წყალობით ჩვენ თან-და-თან ვლარაკვებით, მიაქვთ ჩვენი ფული, ის-მარტებენ ჩვენს შრდმას, ფისხათვის ამსადებენ ჩვენებურ ჯარის-ვაგებს. ხოლო ამითი არ სჯერდებიან, მიაქვთ ჩვენი ისტორიული განძი, გვპარავენ და გეტარებენ ჩვენს დღეუ-მენტებს, სელთნაწერებს, რათა აღმოვიფხვრას ჩვენში ყოველი გვალი წარსულისა და ყოველივე იმედი მღამსახურებისა. მკითხველო, არ უნდა მოვდეს ამას ბოლო?

—(—)

„კავკასი“ გკითხვობთ, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ალექსანდრეს ნაცვლად ინიშნება ალავერდის ეპისკოპოსი დიმიტრი ანაშიძე, ჩამგეში და გამყიდავი თავის სამშობლოში როგორც იცის ჩვენმა მკითხველებმა დიმიტრი ანაშიძეს სძულს ქართველები, სძულს ქართული გნა და ამ სიძულვილით სურს კარიგრა გაიკეთოს სურს ჯული მღვდელ რუსეთის ფესბორცისა. სხვა რუსის მონღოლებთან ერთად დიმიტრი ანაშიძე მკუდრდება ქართველების განადგურებას და დამცირებას გურია-სამეგრელოში. შეიძლება პირველში დ. ანაშიძემ ცდიდებოთ სიყვარულივც გამოეფხვანოდეს გურულებს და მეგრელებს, მაგრამ იმედიან ახუთის მანთი ვერ გააბავს ჩვენს ხალხს, რომელიც კარგად იცნობს თავის მღალატრეებს. აღარ ვვარცივართ დავლანდით, სიფრთხილუ შეძლევაპარა, თორემ არ ვასწივრებდით ვახთს ერთგულ მღამსახურეებს ჩვენი მჩავგრელებისა. ვახეთის ხარჯად დება წინდით მიეგება დიმიტრი ანაშიძეს, პრეკლამაციებიც გამძხვებს ალავერდობას მის წინააღმდეგ.

იმედიან ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში, სადაც მიბრძანდება ეს სამშობლოს მღალატრე ყველაში ზურგს მიაქნევენ, არვინ დაუხვდება, არვინ დაჰპატიჟებს, არვინ მივა მის წინააღმდეგს, — დეე სელი-ხელ ჩაკიდული ბეჭაულებთან და ჩაუტრებთან მარტულ მარტულ იღვრებს და ათიოთხ რუსეთის იმპერატორი, რომელსაც მიჰყიდა თავისი ხელი.

—(—)

ტფილისიდან გვარტყდებიანებურ, თ. - აწნაურდების წინამძღვლი ჩამხსულა ტფილისში და აი იმის ნალაპარაკევი: განკარგულებაა ძრთელ შეავიწროვდენ სომხები, ხოლო ქართველებს ყური ადევნდენ. მალოან დადენებულა თურქე წინამძღვლი. ვერგ ახალთადების გული მოვიკაო, ვერგ ძველი თადობსად და ვერგ არისტრატისხად და აბორებს სამხახურის თავის დანებებას.

„ისპრის“ (1) კორკასკონფედერი კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ფასახეა.

«მეგობრებო, კთხოვთ მახლობელ ნომერში დაბეჭდვით ჩემი მცირედი შენიშვნა, — ხწერს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ «ისპრის» რედაქციას ერთი მისი კორესპონდენტი. — პოლენეთის ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციის «მშველად სოციალ-დემოკრატიის» დაბეჭდვითა ერთი წერილი ამგვარის სათაურით: «სოციალური მოძრაობის შესახებ კავკასიაში». ეს წერილი, როგორც გაზეთის შენიშვნაში ხჩანს, დაწერილია «კავკასიის კავშირის» ერთ-ერთ წევრის მიერ. არ ვიცი, ვინ არის ეს «კავშირის»

წევრი, ან რაგვარი დამოკიდებულება აქვს კავკასიის მოძრაობასთან, ხოლო არ შემძლია უყურადღებოდ დაგტვლო მისი წერილი, რომელიც ამჟღავნებს სიმართლეს მოკლებულ ფაქტებს და კავკასიის სოც.-დემოკრატიულ მოძრაობასაც სხვაგვარ ელფერს აძლევს.

«არ შევჩერდებით წერილის იმ ადგილებზე; სადაც ავტორი ლაპარაკობს კავკასიულ ერთა განვითარების ისტორიულ პირობების შესახებ და წერილის უმთავრესს საგანს შევეხებით. ავტორი აღნიშნავს რა კავკასიაში კაპიტალიზმის განვითარებას და ამ მოკლე-ნახთან დამოკიდებულ მუშათა პრეტორიზაციის წრდას, მოძრაობის ისტორიას ეხება: «მოძრაობა ჯერ საქართველოში (?) დაიწყო და შერე სომხეთშიაც გადავიდა». არ ვიცი, ამგვარი გლახიფიკაცია საიდან მოუვიდა თავში ავტორს. ყველახათვის, ვინც კავკასიაში მუშაობს, ცხადია, რომ მოძრაობის წრდა კავკასიაში არ იყო დამოკიდებული არც ერთ ისტორიულად შექმნილ გრდვნიულ ჯგუფთან (1). ფაქტიურად საქმე ახე იყო: სოც.-დემოკრატიული პირველი ორგანიზაციები გაჩნდნენ ტფილისში (და არა საქართველოში), აქედამ ბაქში (და არა სომხეთში) გადაიტანეს თავიანთი მოქმედება და შერე ბათუმში. მოძრაობა იქ ვითარდებოდა, სადაც ეი მუშათა ჯგუფები მოიპოვებდნენ. საქართველოს შესახებ თუ კიდევ ითქმის, რომ ამგვარი გეოგრაფიული ტერმინი სამართლიანია, სომხეთის შესახებ ამგვარი ტერმინი ყოველად შეუწყნარებელია. სომხის მკვიდრ პრევიზიციებში (ყარხხა და ვრეგანში) დღემდე არ არსებობენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

«გარდა ამისა, ავტორი არას ამბობს იმის შესახებ, რომ დაფუძნებასთანავე კავკასიის ორგანიზაციებმა აღიარეს თავიანთი დამოკიდებულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისაგან; და სანამ «კავშირი» დაარსდებოდა (1903) კავკასიის კომიტეტები რუსეთის პარტიის კომიტეტებთან ითვლებდნენ. ავტორის სიტყვით ეი სულ სხვანაირად გამდის. «კავკასიის სოციალ-დემოკრატიებმა დაარსეს სოც.-დემოკრატიული პარტია (!) რომლის ორგანიზაციის დაარსება სოც.-დემ. კავკ. კავშირით. ეს კავშირი ძალე რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიას შეუერთდა». ყოველივე ეს სიმართლეს არის მოკლებული. რა-ვი თანდა კავკასიის პარტია არც არსებობდა და არც შეიძლება რომ არსებობდეს. იყო და არის კავკასიის ორგანიზაცია რუსეთის ს.-დ. პარტიისა. როგორც ტფილისის კომიტეტი (1897 წ.), ისე ბაქსი (1902 წ.) და ბათუმის (მგზნი 1902 წ.) თავიანთ თავს ყოველთვის პარტიის კომიტეტებთან სთვლიდნენ, ისინი მუშაობდნენ, გაფიცვებს და დემონსტრაციებს მართავდნენ როგორც რუსეთის პარტიის ორგანიზაციები.

«მხოლოდ 1903 წლის პირველ ნახევარში დაიბანდა აწრი ადგილობრივ ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ. ამ მოწინასათვის წარმომადგენელთა სხდომა გაიმართა, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ჯერ კიდევ სოც.-დემოკრატიულ «კავშირს». იგი (კავშირი) დაიბადებოდა აწრე რუსეთის პარტიის ნაწილი იყო და ამიტომ როგორ უნდა მომხდარიყო მისი «შეერთება» პარტიასთან. კავშირმა წარსულ აპრილის შემდეგ დაიწყო თავისი მოქმედება.

«არ ვიცი, რა ნაირად შეეძლო ამ «კავშირს», როგორც ამტკიცებს ავტორი, ტფილისში 1901 წელს დემონსტრაციების მომზადება და ბათუმში მომხდარი 1900 და 1901 წლებში გაფიცვების წელმდევანელობა. ორგანიზაცია, რომელიც არ არსებობდა, ამას ვერ ჩაიდენდა. ყოველივე იყო დაშინებული ტფილისის, ბაქოს და ~~ბათუმის~~ რუსეთის პარტიის კომიტეტების მიერ და არა ფიქტიურ ვითარება კავკასიის პარტიის მიერ. ავტორის წერილი სავსეა ამგვარის შეცდომებით, ასე რომ ხელყველას ვერც აღვნიშნავთ. აი კიდევ ერთი ნიმუში: «ცენტრალური კომიტეტი (კიდევ შეცდომა; კავშირის კომიტეტი) შესდგება სამი ერთვნივლი კლემენტისაგან — რუსების, სომხების და ქართველებისაგან». რა უნდა ეთქოდ ამითი ავტორს? ის რომ კომიტეტში რუსები, სომხები და ქართველები არიან, თუ ის რომ ყოველ ერთს ჰყავს კომიტეტში თავისი წარმომადგენელი? თუ პირველი მოხაზრება ჰქონდა მსუფთაობაში, უფრო გარკვევით უნდა ეთქოდ თავისი აზრი. სოლო თუ მეორე, ეს მართალი არ არის. ჩვენი კავკასიელი მკვლევრები ცხატე მდწინააღმდეგენი არიან ერთვნივლი ორგანიზაციებისა და დაფუძნებისთანავე ყოველი კომიტეტი სხვა-დასხვა ენის სამუალებით მოქმედებდა და ამა თუ იმ ქალაქის ყველა მუშების წარმომადგენლად სოვლიდა თავის თავს ერთვნივლის განურჩევლად. «კავშირის კომიტეტი» ამორჩეული იყო ადგილობრივ კომიტეტების წარმომადგენელთ მიერ იმ ამხანაგთა შორის, რომელნიც კავკასიაში მოქმედებდნენ. ისინი არ დაეძებდნენ, რა ერთვნივლს ეკუთვნოდნენ ამხანაგები.

ამ ყამად, როგორც წინად «კავშირის» დაარსებამდე, კავკასიის სოციალ-დემოკრატია ხაორგანიზაციოდ კითხვებში ერთიან პარტიას ეთანხმება, იმ პარტიას, რომელიც მთელ რუსეთის პრელეტარიატის ინტერესებს იცავს. ხაორგანიზაციოდ გვემა, რომლითაც აქ ვხელმძღვანელობთ სრულად არ ეწინააღმდეგება იმ გვემას, რომლის მოხარჩლეთ ჩვენს ლიტერატურაში «ისკრა» არის».

კავკასიის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციის კავშირის წევრი.

ყოველივე ზემონათქვამი კაცმა რომ შეადაროს სოციალურ მოძრაობის შესახებ «საქართველოს» მიერ გამოქვეყნებულ მახალას, ადვილად დაინახავს, რომ «ისკრის» კორესპონდენტი სავანს მიკვთმდებობთა ხჯის. «მოძრაობის სრდა კავკასიაში არ იყო დამოკიდებული არც ერთ ისტორიულად შექმნილ ერთვნივლ ჯგუფთანად». ჩვენ კი გვეგონა და გვეგონა, რომ გორედ წოდებული «მესამე დასელობა» ქართულ ცხოვრების მოვლენაა, ორგანიული ნაყოფი ქართველ ხალხის განვითარებისა. «კავკასიაში არავითარი პარტია არც არსებობდა და არც შეიძლება რომ არსებობდეს, იყო და არის კავკასიის ორგანიზაცია რუსეთის პარტიისად».

არა გვეგონა, რომ ქართველი სოციალისტები, რომელიც თანაუგრძობენ საქართველოში ავტორიტეტის დამყარებას შეიწყნარებდნენ ამგვარ «ქვეშევრდომობას». პრინციპების სოლიდარობა და მისნის ერთგვარობა არამც თუ არ უშლის დამოკიდებულ ორგანიზაციების დამყარებას, არამედ მათ უპირატესობასაც აძლევს ძალ და ტანებით ერთფერვან და ერთხასიათიან ორგანიზაციების ხარკებლობასთან შედარებით. რის კავკასიის ან საქარ-

თველოს პარტია? საქართველო ხომ მართლ «გეოგრაფიული ტერმინია»? აქ «ისკრის» კორესპონდენტი ალბათ თითონაც არა გრძნობს, რომ რუსეთის რეაქციონერებიც სწორეთ ამასვე ქადაგებენ, იგი იმდენად არის გატაცებული «მხედრულის დისციპლინით» რომ ავტორიტეტულად დასძენს: «კავკასიელები ცხატე მოწინააღმდეგენი არიან ერთვნივლი ორგანიზაციებისად».

თუ «ისკრის» კორესპონდენტი ცდტად მაინც ჩახედული კაცია, უნდა სცოდნოდა, რომ ავტორის სოციალისტურ პარტიას აქვს იმგვარი ფედერალისტური წეს-წყობილება, რომელიც «ერთვნივლი ორგანიზაციებს» არა სჩავრავს; უნდა სცოდნოდა, რომ საფრანგეთში კომუნამ აღიარა არამც თუ ერის არამედ ქალაქის და სოფლის დამოკიდებლობის პრინციპი ხაორგანიზაციოდ კითხვებში. სოლო თუ «ისკრის» კორესპონდენტი მარქსისტია, მარქსის უცვდიანობა მას არ ევაკიება, რადგან სწორედ მარქსი აუხსნიდა რომ, «რაცი პრელეტარიატი ცდილობს ხელში ჩაივდოს პოლიტიკური ძალა, მას ერთ ერთვნივლ კლასის ხასიათი ეძლევა, იგი ჯერ ერის ფარგალში (1) ცდილობს მოწყყდეს და ამიტომ ამ ხანაში პრელეტარიატს ერთვნივლი ხასიათი ეძლევა». (2)

რედ.

გლენთა მოძრაობა საქართველოში.

II *)

ოვლისის პირველ რინსებში, გურიაში ჩამოვიდა გუბერნატორი სპეიანი, დაიარა სოფლები და გამოვიდნა გლენთი, რა გურეთი. გლენთმა სრულად უმძობრთა უამებს თავიანთი გაჭირვება. გუბერნატორი ძირელ გაწყრა ამათ, თავსეფლად პარაპავსათვის და დაეძქურა, ნაღბანში დაკალობით. მაგრამ ამან ვერ შეამინა ვერავინ. პირქით, ს. ჩვენსათი ერთმა გლენთმა ახეთ შექარაზე უბასუხა: „აი მთელი ჩემი სიძლიდრე, უჩვენა დახეულ ფესხანქელზე, სხვა ყველაფერი წამართვით, წაიღეთ მსგე, თუ კი გეყდოთ“ თან გადაუვდო ფესხანქელი. გაბრახეულმა გუბერნატორმა ბრძანისი დაჭერა, მაგრამ გლენთი წინ აღუდგენ პოლიციელთ და არ მიუშვებს დასაჭერათ, ასე რომ გუბერნატორი იძულებული გახდა ხალხის ძალას დამორჩილებოდა. ს. მიქელ-გაბრიალის გლენთამ გუბერნატორს წარუდგინა ზემოდ ჩამოთვლილი მოთხოვნილებანი და გამოვსნადეს, ხანამ არ დაგვავსაყოფილებთ მანამდის ვერ მოვისვინებთო. გუბერნატორი სამინლად გაბრახდა, დაიყო ჩვეულებრივი მუქარა, მაგრამ როცა დაინახა, რომ მუქარას გლენთებზე გაკლენა არა ჰქონდა, გამოვსნადა: მიწის საქმე მე არ შექმნება, ეს მემამულეთა საქმეა, სოლო დრამის ფულის მოვსებანზე ვიშუამდგომლებთო. გუბერნატორმა მდინარა სოფლები და დამრუნდა უკან ზომების მისაღებად. მაგრამ ეს თვითონ ვერ გაბედა, წავიდა მთავართმართებელთან და მასთან მდლაართავების შემდეგ თავის თანამემწყეს უბრძანა, „განწინდე“ გურთად. მედრეს მხრით გლენთებმა „მოკლეთ“ გამოვსნადეს მემამულეთ. ერთ მშვენიერ დღეს ეს ბარენები დარჩენ ყოვლად უნეტეოდ მოვდმარეობაში, გოგლ-ბიჭებმა დასტრავს ისინი და ქალბარენები იძულებული გახდნენ თავისი ხელთ ეკეთებისათ საქმელ-ხასყელი და მათსელობა გაეწიათ. ამავე დრეს დანხსეთის ბეჭეულმა ნივლითის მემამულეთა ჩვეებით დაიჭირდა სამი გლენი. მეორე დღესვე 500 გლენი მივიდა ბეჭეულთან და ძალით გამოავსინა დაჭეროლნი. ამ დავითანბანში და მოძრაობაში გავიდა ოვლისი. ავვისტრეს პირველ რინსებში გურთაში ჩამოვიდნენ კიდე გუბერნატორი, ყანდართმა უწერალი, პრეკორდნი და რამოენიმე ბარალიონი ქვეითა და ცხენოხასი ჯარი. ჯარები ჩააყენეს მოწინავე სოფლებში და ქ. ოსურგეთში.

(1) კრსოვი ჩვენია. რედ.
 (2) „დემ. მანიფესტი“ (რუსული თარგმანი გვ. 23).
 *) ის. „საქართველო“ № 7.

შეადგინეს სია დასაჯებელი პირთა და „მეუღვენი საქმე“. ერთ კვირამი ჯარის შემწეობით სხვა-და-სხვა სოფლებში დაა-წყვეს 200-ზე მეტი. ამათში ორი ლიტერატორი: ნიკე ქორიანი და სიღ. ჯობლაძე, რომელნიც ორი კვირის წინ გამომავალ ტელეფონის მერტვის ციხიდან, სადაც წელიწადზე მეტი იჯდნენ მუშათა საქმის გამო და თავიანთ სოფლებში გამომავალ პოლიციის მსახურების ქვეშ: სამი სოფლის მსახურები: მ. მგვრელიძე, და ორი მძა ჩხიძე, დანარ-ჩენი კი გლეხები და ქალაქიდან გამომავალი მუშები. ქუთაისის, ბათუმის და ოსურგეთის ციხეებში გაივლო გურუ-ლი ტყვეობით. ყანდარმები მეუღვენი სოფელ-სოფელ ჩხრე-კას და საქმის გამოძიებას. გლეხი ვიწრობიდან, ვიცი-ბიდან არ ხართ დამნაშავენი. სხვები პატივგებენ, კითხუ-ნით ვინ არიან იხიბი და მამინვე გამომავლებით. მიუხე-დავთ ხან ფერობისა, ხან მუქარისა არც ერთი გლეხი არ გამოტყობილა და არავისუფე ხელი არ დაუდოია. ასე რომ პო-ლიციამ ვერაფერი ვერ გაიგო თვით გლეხებისაგან და იძუ-ლებული იყო საქმე გენარმდებებისა თავისი ჯამუშების და თავად-აზნაურთა ჩვეულების მიხედვით. შემდეგ 28-ი თვის ტყვეობისა გლეხები გამომავალ ციხიდან, გარდა 28-სა. გან-თავისუფლებულეებისაგან 5 განამკვეს ქუთაისის გუბერნი-იდან (ს. ქორიანი, ს. ჯობლაძე, მ. მგვრელიძე, და ორი მუშა დიდელი და სოფელიკი) დანარჩენი მინ დაბრუნდეს. დარჩევივლეთაგან ექვსი თვის შემდეგ ექვსი გადასახლეს სარჯლის გუბერნიამი. სოფლ 22 დღესაც ქუთაისის ციხეში არიან. გარდა ამისა, სხუთ სოფლებში გლეხები ჩამოერთვათ მამასხლისის არჩევის უფლებით და თვითარ მთავრობამ დაიძინა თავისი ჯამუშები, სოფლ მათი ჯამაგირები სო-ფელს გააწერა. შტიკების სამუალებით ხალხს გადასდიეს „დრმა“ და დიდლებს ჩააბარეს. სოფ დიდელმა ხალხის შიშით დრამის მიღებაზე უარი თქვა, მაგრამ მთავრობამ აიძულა მიეღო: აგრეთვე ს. ნივლითის ერთი შემამულე გლეხების მონღვნილებას დაეთანხმა, გაიგო ეს თუ არა გუბერნატორმა, მაშინვე დაიბარა ეს თავადი და გამომუხსა-და: თუ არ შევიძლიათ მამულის პატრონობა, ჩამოგართ-მევთ და ჩვენ მღუვლით, გლეხების დათმობა როგორ შეი-ძლება, დღეს თქვენზე გამომარჯვებენ, სვალ ჩვენსეიდან მი-ტანენ იერიშსაღ. თავადი დაბრუნდა სოფელში და გამუ-ხსადა, რა ვქნა გუბერნატორმა არ დაშანება თქვენთან მღ-რიებდა. მთავრობამ დავერა ყველა ხასხალს იმილითე-გები.

ამნიარად, მთავრობამ პირდაპირ ომი გამომუხსადა გლე-ხებს და მით ნათლად დაანახვა მათ, რომ სანამ თვით-მპყრობელობა არ დაინგრევა, მანამ მათი საქმე წინ ვერ წავა. მდომარეა სწრაფად მიიღო პოლიტიკური სასიათი, მერძინდელი პრეკლამაციები უმთავრესად პოლიტიკური.

გურის დევნადელი მდგომარეობა ასეთია: გლეხები გაიფიქრეს და შემამულეთა ადგილებში არ მუშაობენ, მრავალი ხასხვა მამულები ვერაზნათა გამკვენილი. თავადების ბოიკოტი ვიდევ უფრო ხსტიკათ წარმოებს. ხალხსა და დიდლებს შორის სრული განხეთქილებაა, პოლიცია და გან-დარმები თავიანთ დაუმიზნებელ მტრებთან მიაჩნიათ. მდ-მარების სათავეში ჩადგა აწლად დაარსებული გურის გლეხთა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი. ბრძოლა სწარ-მდებს.

თავისთავად ცხადია, რომ გურიაში დაწყებული გლეხთა ბრძოლა მართლ გურით ვერ განისაზღვრებოდა, და მარ-თლად, მარმან საოხსულშივე, მდომარეა დაიწყო სოფლიდის მანრის გლეხობაში (სამეგრელო), სოფლ წილს ქუთაისის მანრამი (იმერეთი). ასე გახიჯეთ, წელს ჩვენი სოფელი მაისი იდღესასწაულეს ს. კულაშის გლეხებმა, ამართეს წითელი დრმა და წაიკითხეს პრეკლამაციები. ასე გლეხთა მღელ-ვარებამ მიიგვა მთელი დასავლეთი საქართველო და ეს რამდენიმე თვეა მან თავი იხიბა აღმოსავლეთ საქართვე-ლოშიაც. აქ, ქართლში და განეთში, გლეხობა ყველაზე უფ-რად დაიგზავებული და წელში გატყობილია. მრავალი გლეხი ბრძოლითი ვალდებული და ბატონისაგან სრულიად დამო-კიდებული. აქ ჯერ ვიდევ ბატონებმანაა. ამიტომ გლეხები ვლხებთეუად დაჩაგრულები და უვიგები არიან. მიუხედა-ვად ამისა ამათაც ახიეს თავი და შეიბრუნდნენ შეგებრდებულ.

ამგვარად, გლეხთა მდომარეა ვაკავახიამი ჯერ მხოლოდ ქართველებშია. ის არ დაწყებულია არც ომისში და არც თა-თრის გლეხებში. სოფელ-სოფელ დადიან ბოქალები, მდომრიგებელი მღსამართლები, მანრის უფროსები და სმი-რით თვით გუბერნატორი სპაგინი და ხალხს უქადაგებენ: ნუ აწყვებით რევოლუციონერებს, იყავით სელმწიფის მღრ-ჩილინი და სხ. ერთი სიტყვით, გლეხებში ორგვარი პრე-პაგანია, რევოლუციონერების და მღსნელების. სოვიერთ

სოფლებში გლეხები ხელასლა დაათიგეს სელმწიფის ერთ-გულეზაზე! ამ ბოლო დროს დაარსდა გლეხთა მეორე სო-ციალ-დემოკრატიული კომიტეტი იმერეთში. X

**სომხეთა და მაკედონეთა უფლებათა დასაცავად
გამართული ინტერნაციონალური კონგრესი.**

15 ნოემბერს პარიზში, სარა ბერნარის თეატრში, გაიმართა აღნიშნული კონგრესი. კონგრესს დაესწრ-ნენ გარდა გამომჩენილ ორანგებისა, როგორც არიან ფრედერიკ მასხი, ესტურნელი, ყორესი, ვიქტორ ბე-რარი, პრესანსე და სხვანი, ინგლისელი, იტალიელი და ბელგიელი წარმომადგენლებიც: ივენსი, მალ-კოლმ, მაკ კოლ, მაძინი, ყორე ლორანი და სხ.

ორატორებმა სასტიკად გაჭვიცხეს ოფიციალური დიპლომატიის მქმედება, განსაკუთრებით ავსტრო-რუსეთისა, რომლის სასაგილო პრექტები მშვიდო-ბიანობის დამყარების მაკიერ აღმოსავლეთის საქმე-ებს უფრო ამწავებენ. გვრდობს დემოკრატიამ ერთიმ გაჭვიცხა დიპლომატიის უძღურება და სურვილი გამომავლად საერთაშორისო კითხვებში ჩართვისა. კონგრესმა, გარკმეების მიხედვით, შემდეგი განაჩე-ნი დაადგინა:

«კავშირების სინიდიის პატივისცემის სახე-ლით, იმ კავშირებისა, რომელიც ჰკიცხავს და ყო-ველთვის გაჭვიცხავს ანდულ-ჰამიდიის საწარულ პო-ლიტიკას, კონგრესი სთხოვს ვერაბიულ სახელმწი-ფეთა მთავრობებს ბოლო მღულენ მაკედონელთა ტანჯვას. და ამითვის კონგრესს საჭიროდ მიაჩნია იმგვარ კავშირატორის დანიშნვა მაკედონიაში, რე-ქელიც ნახუსის გემაში იქმნება ვერდობის წინაშე».

«კონგრესს დიდძალი მილოცვის და თანაგრძნო-ბის წერილები მღუვიდა. სხვათა შორის, საჯაროდ წაკუთხულ იქმნა «საქართველს» რედაქციისაგანაც გაგზავნილი. აი რას ვწერდით:

«ქართველები, რუს-მმართველობის მიერ დამო-ნავებულნი, მწუსარება-უბედურებაში უერთდებიან ყველა დაჩაგრულთ და ხალხს აძლევენ ინტერნაცი-ონალურ კონგრესის წარმომადგენელთ, რომელთაც განსწავლა აქვთ მაკედონელთა და სომხეთა განთავი-სუფლება ანდულ-ჰამიდიის ძალმომრებისაგან. სო-ლოდ ამასთან ქართველები ნებას აძლევენ თავიანთ თავს მთავრობენ კონგრესს, რომ აღმოსავლეთის სა-მწუსარდ პრეზენტების გადაწყვეტა ვიწროდ არის და-კავშირებული რუსეთის თვით-მპყრობელობასთან, რომელიც მუდამჰამს იყო და არის ხალხთა განთა-ვისუფლების მღწინააღმდეგე.

«საქართველომ, რომელიც ოდესხად აღმოსავლეთ კითხვის ფარგალში იმყოფებოდა, მწირის გამომცდი-ლებით იცის დღეს, რომ სანამ რუსეთის მღსარქია ფესხე იდგება, რუს-მთავრობა ყოველთვის წინააღ-მდეგი იქმნება ორი ავტონომიურ პრევიციის (სომ-ხეთის და მაკედონიის) დაარსებისა; წინააღმდეგი იქმნება იმ მარტივის მოხარების ძალით, რომ ავ-ტონომიური სომხეთი და მაკედონია, რომლის მღვე-ლად გახდის ვერდობის დემოკრატიკა, ხელს შეუძ-ლის რუს-მთავრობის ბრლებით დაფარულ ძველ განსწავლათა აღსრულებას, ე. ი. სტამბოლის და-პყრობას.

«ვუცხადებთ რა სომხების და მაკედონელებს ქარ-თველთა თანაგრძნობას და სოლიდარობას, ჩვენ მღ-კალეობადა ვსთვლით ფარდა ავხადოთ რუსეთის

პოლიტიკას და სამართლიანობის და თავისუფლების მკვეთრ გაგახსენოთ, რომ ზემოდ აღნიშნულ მიზნის აღსრულებისათვის (სტამბოლის დაპყრობა) რუსეთს მხოლოდ ოსმალეთის დასუსტება ჰქვარს და ეს არის მიზეზი რომ მას ხელში ჩაუვდია სომეხ-საკავშირებელი კითხვის გადაწყვეტა».

ამ წერილს, კრემლზე დეპუტატ პრესანსებს მიერ წაკითხულს საზოგადოება ტამის ცემით მიეგება.

თანაბრდობანი „საქართველოსადმი“.

რედაქციამ მიიღო გამსწავლების წერილები კვრდ-პიულ სხვა-და-სხვა პუბლიცისტებისაგან, ერთი რე-წენისაგან, შვედეთს გასული «Svenska Dagalade» რედაქციისაგან, პორტუგალიის პოეტ და იგივე რედაქ-ტორი ლისაბონის გაზ. «Seculo» — Xavier de Carvallo-საგან, პიეტრო მაძინისაგან, გაზ. «ერბოევის» იტალიელ თანამშრომლისგან. ყველანი თანაგრძობას გვიცხადებენ. «თქვენი მდგომარეობა, გვწერს შვედეთ-ლი, რედაქტორი, არის მდგომარეობა იმათი, ვინც დღეს დაჩაგრულია რუსეთის მიერ და ვისაც შიში აქვს მდამავალთაგან არ იყოს დაჩაგრული იმისგან». ყველამ აღგვითქვა, ჩვენი ქვეყნის გაზუთებშიწერილებს დაწერეთო ქართულ ხალხის გამოსახარჩლებათო.

გარდა ამისა შვეიცარიის გაზეთ «Tribune de Genève»-შიაც (5 ნოემ. 1903 წ.) ვპოვებთ რამდენიმე წამაქეხებელ სიტყვას. თ. გოლიცინის დაჭრა რუსუ-ლი ნიგილიზმის საქმე არ არის, ამბობს გაზეთი. კავკასიის ხალხთა შიშის ჯერ კიდევ არ ჩამქრალა განთავისუფლების სურვილი. და ამ უნდა ვუკმ-დეთ გოლიცინზე თავსდასხმის აღსახად. თავის აზ-რის დასამტკიცებლად გაზეთი განაგრძობს :

«იმის საბოლს, რასაც ჩვენ ვამბობთ, ვპოვებთ აგრეთვე იმ ფაქტში, რომ ახლანა პარიზში და-არსდა ერთი ქართული ორგანო — «La Géorgie». ერთ მღწინავე წერილს სათაური აქვს : «La Géor-gie et la Fédération du Caucase» (საქართველო და კავკასიის ფედერაცია). სხვას რომ თავი დავა-ნებოთ, თვით წერილის სათაურიც დიდმნიშვნელ-ვანად მიგვაჩნია. ქართველები კავკასიაში ერთ მთლიან ეროვნულ სრულს შეადგენენ. მათი მუხლ-ბლები სომხები და თათრები არიან. თანამედროვე რუსეთის საქართველოდ ორ გუბერნიას (ტუ. და ქუ-თაის.) შეიცავს. ქართველები ქვეყნიერობაზე ულა-ძახებენ ერად ჩაითვლება. რუსეთის ადმინისტრ-აციული და პოლიტიკური რეჟიმი მათ ძლიერ სჩა-გრავს. ისინი იბრძვიან მის წინააღმდეგ და დღეს ითხოვენ ეროვნულ ავტონომიას და არა სრულ განმდრებას რუსეთისაგან. ეროვნული ავტონომია საქართველოში ადვილად განსახორციელებელია, რადგან ქართველი ერთი განცალკევებულ ჯგუფს შეადგენს. რასაკვირვებელია, ქართველებს ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთ წარსული, ბრწყინვალე რიგი გამ-ჩენილ მუშეებსა. მაგრამ ამას ესლა აღარ დასდე-ვენ. მათ ხურთ კავკასიისათვის ფედერაციის დაფუ-ძნება, იმკვარ ფედერაციისა, რომელიც «ნაწილად შეიქმნება რუსეთის სხვა დიდ ფედერაციისა».

ამადადამე, ქართული ყურნალი პარიზში და-არსებულ ფედერაციულ მოძრაობას ვმხახურებ. ეს გარემოება იმდენად საყურადღებოა, რომ შიხი აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია, მით უფრო რომ ყველაფერ ეს მზადდება და კეთდება საფრანგეთში, რუსეთის შეგობარ ქვეყანაში».

ვლადიმირ კაცხოველი.

ამ ორიოდე თვის წინად რუსეთის მთავრობამ ერთი საზინდარი საქმე მოიმოქმედა. თბილისის მე-ტეხის ციხეში ხალდათმა ოფიცრის ბრძანებით თოფით მოჭვლა პოლიტიკური ტუხადი ვლადიმირ კაცხოველი. კაცხოველს თანჯრიდამ სხვა ტუხადთან ლაპარაკი გაუშართავს. დარაჯს სამჯერ გაუფრთხი-ლებია და რადგან იგი არ იმლიდა თოფი დაუხლია. კაცხოველი მაძინვე გადაცვლილა. ასე უმღწყალოთ ეკიდება რუსეთის მთავრობა თავის მოწინააღმდეგეთ. თავისთავათ ცხადია, რომ მკვლეული არა თუ პასუხს აგებენ, არამედ ჯილდოსაც მიიღებენ.

აი კაცხოველის ბიოგრაფია მოკლეთ. ის, ტომით ქართველი, ტფილისის გუბერნიდან, ამ 5 წლის წი-ნეთ შეუდგა ტფილისის მუშებში წრეების დაარსებას და სოციალისტიურის ასრების გავრცელებას, 1899 წ. ის მეთაურობდა ქალაქის ცხენის რვინის გზის მო-სამსახურეთა გაფიცვას, რომელიც გათავდა გაფი-ცულთა გამარჯვებით. მაძინ პოლიციამ შიავნო კაც-ხოველის მოქმედების კვალს და კაცხოველიც გა-დაიხვეწა ქალაქიდან. ის გადასახლდა ქ. ბაქოში და სხვა გვართ დაიწყო მუშაობა. იქ მანამდის არ იყო მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები. ის პირვე-ლიდ შეუდგა ასეთ წრეების დაარსებას, განსაკუთრ-ებით რვინის გზის მუშათა შორის. როცა მან სომეხი მუშებში შეიყვანა წრეში, წინ ვადაედობა სომხის ნაციონალისტი-რევოლუციონერები, რომელნიც მუ-შებს თავიანთ მოძრაობისათვის სმარობდნენ (სათ-ორეთის სომხეთისათვის) და კაცხოველს დაუწყეს დევნა. მაგრამ მიუხედავად ამისა წრეები გამრავლ-დნენ და სოციალ-დემოკრატიული კომიტეტიც შესდგა. კაცხოველის შეგადინებით 1901 წ. ბაქოს მუშებმა პირველათ იდღესასწაულეს პირველი მაისობა ქა-ლაქს გარეთ. იმავე წელს კაცხოველმა დააარსა სო-ციალ-დემოკრატიული კომიტეტი ქართული არა ლეგალური გაზეთი «ბრძოლა», რომელიც დღემდის არ შეწყვეტილა. მანვე დაბეჭდა შრავალი პრვლაძე-ციები და ბრძოლები ქართულად, სომხურად და რუსულად. დაიჭირეს 1902 წ. ბაქოში და იქიდან გადმოიყვანეს ტფილის მეტეხის ციხეში. ერთი ხი-ტყვით, კაცხოველი ერთი დაუდალავი და თავგანწი-რული ქართველი რევოლუციონერი იყო და მისი ასე უდროვოდ დაკარგვა დიდი დანაკლისია არა მარტო კავკასიის, არამედ მთელი რუსეთის რევოლუციონ-რებისათვის.

გოლიცინის სასახლის აფეთქების განცხადება.

გოლიცინმა შიშით აღარ იცის რა ჰქნას, ბევრ სო-მეხის იჭურენ მათ შორის ექიმი ნავასარდიანცია. ამას გარდა აი კიდევ რა მოხდა. ზუთ დეკემბერს, დამე-გოლიცინის მოხამსახურეს კეპოგრა რადგან ხმაუ-რობა მიწის ქვეშ, რასაკვირვებელია შეატყობინეს გო-ლიცინს, მოიყვანეს ხალდათები მხროლველ ჯარი-სა და სამი ხალდათი გააწვინეს იატაკზე და ყუ-რი დააკვებინეს, იმათაც გაივინეს ხმაურობა, მერე მოიწვიეს აფიცრები და ერთი მედლის შემდეგ ექვსი აფიცრებიც გააწვინეს, ამათაც გაივინეს ხმაურობა. გოლიცინი დარწმუნდა რომ ეს სომხები არიან, სა-

სახლის ქვეშ სვრელს აკეთებენ საფეთქებლად. და-
მის ორ საათზე დაუძახა რამდენიმე ორტა ხალდათს,
კადათხრევიანა მთელი სახსლის ოაღი, ღვრიცვლი
ნადირების ესე, სახსლის წინ და გოღვინის ბრძ-
ბეჭტი, ასე რამ ოთხი დღე მიმდევლა სახსლის წინ
აღვრძალული იყო გუნვის კარდა. მაგრამ ვერაფერი
აღმარისებს.

თ ა ვ ი ს უ ჯ ა ლ ი წ ე კ ი ლ ე მ ა ნ ი .

II *)

რუსეთის საგანგებო თვისება ყოფილა მარად ეამს ტრაქ-
ტატების დარღვევა და სხვისი უფლებების გადალახვა, თუ
კი შესაძლებია. არც ერთი ერთი არ გვერდება ისე უდიდრად
ხალსთა შორის სელმეკრულებას, როგორც რუსეთი, და
თქვენ ვინდათ ასეთ ქვეყანას დაუჯავშირდთ საუკუნოდ სა-
ქართველად! მერე, რისი იმეოთ ნეტავი! რა კულტურისა და
ცივილიზაციის პატრონია რუსეთი, რომ საქართველო მის
საგალობს გაჰყვეს და მისგან რამე სასიკეთოდ შეიძინოს?!
რაც რამ გვრძობის ნიშან-წყალი ანადია რამდენსავე ქალაქს,
ეს წამ გვრძობიდან ნახესხებია და დამახინჯებული, სოფლ
დანამთენი უდაბური რუსეთი ისეთივე ყრუ, ველური ქვე-
ყანაა, მოკლებული ყოველს კულტურას, რომლის შესავსა
საქართველოში არ იბოვევა რა. განა ას წილად უფრო ად-
ვილი და ბუნებრივი არ არის, რომ გვრძობის განათლება და
კულტურა პირდაპირ პირველის წყაროდან შევთავისოდთ,
ვიდრე გამოვატაროდთ იგი ამ სიმღრეს რუსეთის დაქანველ
და მდინამდელ მიღებში!

მამ იქნება რუსეთის სამართლიანობის იმედი გაქვთ და
ჭიოქრობთ, რომ თავისუფლად გაცნობრებთ? მაგრამ, რე-
ლის გამოიჩინა რუსეთმა ასეთი მკორფანი თვისება და რა
საწუგულ პოვეგენერტები აქვს ამ თქვენს ობტომინსმ?

ყოველ მის შემდეგ, რაც უსამართლობა, სიმსივე, ვერა-
ღობა და ძალ-მძობრება რუსეთმა დაკანახა: საქართველოც,
ბოღღვითის, დინდინდის, ჩერქეზეთის, სომხეთის, თა-
ურეთის შესახებ, თქვენ ამ შეუღულ გვრძობაში გამოძვადარ-
სართ და აუწყებთ ქვეყანას, რომ საქართველოს თავისუფ-
ლება არ უნდა, რუსეთთან ურჩევნია იყოს განუწყურად!

მე ვერ გამოვიყარ სრულგებით, ვისი თანაგრძობის იმედი
გაქვთ ამ შემთხვევაში? გვრძობა, უმჯობელია, გარდა საფრან-
გეთის ერთის ნაწილისა, თქვენი მდამსრე არ შეიქნება, რა-
დგანაც გვრძობამ კარგად იცის, რა უახივ ექნება რუსეთთან
შვიდრდოთ დაკავშირებას!

თუ გვრძობის სახელმწიფოტინ აქამომდე იტანენ რუსეთის
მეზობლობას და მის მონაწილეობას საერთაშორისოდ საქმე-
ში, მხოლოდ იმიტომ, რომ მარჯვედ და მოღვრნებული
ბოღღვოტავური გამოინახია რუსეთის დახამსობლად ჯერ არ
გამდწყობილა.

მოვესხენებათ, ბაბიღინი, ასურეთი, საბერძნეთი და
რძომ რუსეთზე ნაკლებ ძლიერი სახელმწიფოტები არ
იყვნენ, მაგრამ რა დარჩა ამ მოღვლიოდ იმეგრდობისაგან?!
ასეთი ბედი მოგლის რუსეთსაც, რომელმაც ამდენი ტანჯუ-
ლი ხალხის ხისხლი ჩაიდგა მუგელში. ქვეყანა, რომელიც
მეოღვე საუკუნეში გიბინჯივსა და საროვლს შემამრწუნებელ
ამბების გულგრილი მღწმეა, ანა რა საბატრდო და საკავში-
რდა, მიბრძანეთ ერთი?

საინტერესობა ჯემშარინად; რომელ ისტორიულ მაგალი-
თით სელმძღვანელობთ, რიღვესაც ჭიოქრობთ, რომ ანლან-
დელი ამბოღიურეთი რუსეთი ისტუბებს და პირდაპირ სო-
ფიად - დემოკრატიაულ რესპუბლიკად გარდაიქმევა, ისეთ
რესპუბლიკად, რომ ჯერ ისეთი თავისუფლება და სამართ-
ლიანი წესწყობილება დიდის სნის კულტურის გვრძობასაც
კი არ მოღვანდებოდეს.

ერთს განვითარებას, მის პროგრესს, მოვესხენებათ დრო
სტორია და ვეჭვებ, რომ ანლანდელ განსაცდელში ჩაგარდ-
ნილმა ჩვენმა სამშობლომ შესძლო ელოდოს იმ შესიას,
რომელიც ოღვესმე მოვეკლინება რუსეთს, და განათავისუფ-
ლებს დამღვნებულ ერთა! ამ უნდაურ მეტამოტფოტას, რომ
ნიკოლოტ მღვრის იბპრნია სოფიად - დემოკრატიაულ რესპუ-
ბლიკად გარდაიქნეს, კარგა სანი მოღვრდება და ყოველს
უღლებს მძღვლებული ქართველი ერთი, უფალმა უწყის, გა-

უღლებს, თუ არა, როგორც გრძობდა, იმ სასტიკად რუსე-
თისაგან მომართულ იგრძობს, რომელიც გვიქარის ჩვენი
გრძობული თვისებანი და სიმღიდრეუნი ერთიანად წალგვლს
და გაანადგურებს!

გსადია, რომ რუსეთთან პოლიტიკურად დაკავშირებუ-
ლი საქართველოს სურათი, თუ ვინც აგრძენდობიაც იყოს იგი
გვრძობის თანაგრძობდას და თანპარებას ვერ გამოიწვევს.
მამ რჩება რუსის საწოგადღება, ხალხი და თვით ქართ-
ველი, რომელთა შორის განვიწარმავთ უეჭველად, მოუ-
ვლი გული თქვენს აგრძენდობურ პრღვრძამს.

ჩვენის დროის რუსეთი, კარგად მისვდებით, თქვენი
ანრის არ უნდა იყოს, სოღლ შემდგეში რა იქმნება ეს წამ
საიდუმლოებით არის მღველი; დარჩალა მხოლოდ ქართ-
ველი ერთი, რომელმანც უნდა გამოლსტქვას თავისი უღვლი-
თადეხი მისწრადება, თავისი სასურველი იღვალი გრძენუ-
ლის არსებობისა. არა მღვინია, რომ ქართველმა გრძმა, რე-
მელმანც საკამოდ იგემა ამ ასის წლის განმავლობაში რუ-
სეთისაგან გადალახვა ყოველის თვისის გრძენულისა და
აღამიანურის უღვლებისა, მადღება გიძღვნახთ, რიღვესაც
გაიგეო, რომ წინააღმდეგი სართ საქართველოს განთავი-
სუფლებობისა რუსთა დამოკიდებულობისაგან. საჭიოდო მი-
ძანინია გამოვიგნადოთ, რომ ქართველ ხალხს, რომელსაც
ენას სწვდიან, რადგანაც არც სვალაში, არც სამსჯავრდში
და არ ადმინისტრაციულ დაწესებულებაში ქართველ ენას
ადილოდ არა აქვს, არ ეთქმის — ნუ გვეყრებთ იმ სახელმწი-
ფოს, რომელიც გვრეთის ბუნების წინააღმდეგ უსამამართ-
ლოდ გეჭევა მეს, და დარჩი მახთან საუკუნოდ მიჯაჭული.

ღირს შესანიშნავია, რომ თქვენს აგრძენდო საქართვე-
ლოში ქართველი ხალხი მაინც ვერ გადარჩა რუსული ენის
მესწავლას, რადგანაც ეს ენა საჭიოდ იქმნება, ბრძანებთ:
„გნტრალაურ და ადგილობრვ (რღა დარჩა?) დაწესებუ-
ლებაში“.

შემდგე კვითხულობთ „საქართველოს“ 2-რე ნუმერში:
„საქართველოს გარეშე პოლიტიკის უფლება სრულიად არ
ექნება“. მსკენიერი იღვალა, მართალი მოგანსენოთ, თა-
ვისუფალის ერთისთვის უადრ ყოღა უძვირფასეს ქვეყნისა-
თვის უფლებებისა! „საქართველოდ სამსკიდოდ სარჯისათვის
თავის წვლილს გაიფიხს და საერთოდ საწნელმწიფოდ დაღვამი
მღწაწილეობას მიიღებოდ“. ასე, რომ საქართველომ, რე-
გორც დღეს, თვისინ ღვიძლი ძენი უნდა შეაკლას „რუსე-
თის ისტორიულ მისხიას“. რომელიც ჯერ - ჯერდობით იმი-
თი გამოიხახება, რომ ყველაფერი და ყოველივე უნდა
მთახთქვას, რაც გარუსებული არ არის!

არა! ქართველი ერთი ვერ გაჰყვევა თქვენგან აღნიშნულ
გზას. ერთი რომ ეს გზა გრძელია, და მღვრე — ვინ იცის
სად მივიყვანს! ჩვენ ის უღვოდ ვეჯგრა, რომ რუსეთის
განკითხვის დღე დადგება ძალე და განათებული გვრძობა
არ ჩაყვალავინებს ამ სკავს ამდენ კვითხულობილ და თავი-
სუფლებობის ღირს ერთა, რომელთა ისტორიული სიმართ-
ლენი წმა მალლა ღაღადგენ დღეს და აღღვინილ იქნებიან
შემდგე რუსეთის დამარცხებისა.

მაგრამ თითღველი ერთი, რომელიც ამ იმედით სულ-
დებულობს და ელის საწბრებს დროს საშობლობს განთა-
ვისუფლებისას, რსაკვირუვლია, მზად უნდა იყოს ყოვე-
ლის მწრით, მიეგებოს იმ წამს, რიღვესაც რუსეთი გვრძობის
ღმში გაემება და შესაფერი მღწაწილეობა მიიღოს მომა-
ვალ საერთაშორისოდ ბრძოლაში.

გარდა ამისა გვრძობის ცივილიზაციისთვის საჭიორა ერ-
თხელ და სამუდამოდ ალაგმულ იყოს რუსეთის გაუშამდარ-
თი შდა! კულტურულ ერთა უწმინდეს მოკალეობად უნდა
ჩაიბრძვოს განათავისუფლდენ უღმდებლის მტარვალისაგან
მღტყუებულისი და დამღვნებულის ერთი, რომელიც განუკი-
თსავად კვნესენ და იტანჯებიან დღეს ამ მოხკავველ სკვი-
თების წყაღობით.

ჩვენ დრმაღ გვრწამს, რომ თუ წარსულ საუკუნეში გა-
მღუწინდეს მოღარჩლე გრნი საბერძნეთს, იტალიას და სსკა-
თა, ამ გვარდგე გამოღუწინდება მოღარჩლე მეოღვე საუკუნეში
საქართველოს.

მაპარტით, მაგრამ საჭიოდო მიძანინია მეღვიყვანოდ ერთი
აღიღლი რუსული გასეთის „ნოღვე კრემიადან“, № 9819,
სადაც იგი უბახუებს ფინდამანს: „ჩვენ ფინებად დავრჩე-
ბით... ჩვენ ვინდა ყოველს შემთხვევაში ფინებად დავრ-
ჩებო“. მერე ვინ გიძლით, დემოტობა სელი მღვინდართო!
იყავით იმათ, რაგა სართ, ჯემშარინის სახელმწიფოდ ინტე-
რესებისათვის თქვენი რუსად გადაკეთება სულაც არ არის
საჭიორ; რუსი და ფინი არაღდეს არ განუწარმავთ გაღა-

*) ის „საქართველო“ № 7.

აღწერს და ერთ ეტრეგრაფიულ ყალიბში ამდასხან, საჭიროდა მხოლოდ ისეთი გადადნობა, რომელიც სახელმწიფოს მოუხდებოდა, გადადნობა პოლიტიკური; სახელმწიფო ინტერესები რუსეთისა ღინებმა თავის ინტერესებამ უნდა აღიარდნ. რუსეთის სახელმწიფოს უშიშრობა თანახმად უნდა იყოს სასრუტველი, როგორც ფინთა, აგრეთვე რუსთათვის; ფინები რუსეთის ქვეყნებში არიან და რუსთა ყალიბში უნდა გადადნენ, ვითარცა განუყოფელი ნაწილი ერთის ხსენების!

როგორც ხედავთ, თვით ეს უვიდურები მოქალაქეები გასეთი ყველახი, კარდა რუსისა, რომლის გვიხტურ მადან უნდა შემოავლეს ბედი დანარჩენ ერთა, ისიც კი როგორც კრიმინალური ანუგეგმის უფლება ახდის, მიწასთან გასწორებულს ფინებს!

არ მგონია, რომ ფინლანდიის პარტიოტნი ვაყდელინი დარჩენ ასეთის მოქალაქეობათვის! თქვენი ჟურნალი „საქართველო“ კი თითონ ეგებება რუსის სახელმწიფო ყალიბში ამდასხან ქართველებს და პოლიტიკურად გაქრებს საქართველოს ერთი! რამდენად კარგი და ერთგული სამხანურია სამშობლოს წინაშე ასეთი საქციელი, ამისი გადაწყვეტა მიმინდვია თითონ საქართველოს ხალხისათვის, და მე კი მგონია, რომ თქვენ ამ ყამად ხედავით.

საქართველო ელის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას გვრძობის სახელმწიფოთა პრეტექტორატით, რაცა კარანტია იქნება ქართველის ერთი უშიშროის არსებობისათვის. ამასთან, პოლიტიკურად თავისუფალი საქართველო შეიქმნება სწორედ იმ დარაჯა ქვეყნად, რომელიც სჭირია გვრძობას რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესაყენებლად. უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ იმდენად ვართ გვრძობისათვის საინტერესო, რამდენადვე მისს მისწრაფებას ხელს შევუწყობთ; ამიტომ ჩვენი ბედი და მომავალი რუსეთს კი არა, გვრძობას უნდა შევუკავშიროთ; იმამია ჩვენი ერთგული სხნა, ეს არის ქართველის მოვალეობა მამულის წინაშე და დემოტია ვგამდროს ყველაგვარი გომპრომისი რუსეთთან.

საქართველო, 1903 წ.

სეპარატისტი.

რუსეთის ქრონიკა.

25 აქტემბერს 1903 წ. ქ. სარატოვში გადაიგვალა ალექსანდრე ბალმაშევი, მამა ახალგაზდა გომრისა. ალ. ბალმაშევი მასწავლებლობდა. ბევრს ახალგაზდა გამორჩენილ რუსს მიუღია განათლება და აღწრდა მის გავლენის ქვეშ. დასაფლავებანზე ბევრი ხალხი დაესწრო. გამორჩეულ იქმნენ ყაზახები. დააპატიმრეს ერთი სტუდენტი, რომელმაც სიტყვა წარმოხსენა.

ახლად გამოსულ საიდუმლო მოხსენებიდან სახელმწიფო კონტროლიორისა, სჩანს, რომ გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა თან-და-თან უკარგისდება. გამოსახყიდი გადასახადის ნედლიმკები მატულობენ. ეს ნედლიმკები იყო 1897 წ. — 94 მილ. მანეთი, 1898 — 104 მილ. მ., 1899 — 116 მილ. მ., 1900 — 119,7 მილ. მ., 1901 — 120,5 მილ. მ., 1902 — 121,3 მილ. მან. კარდა ამისა კაპიტალისტური მრეწველობა ხელოვნურად უფრო განვითარდა ვიდრე მოთხოვნილება რუსეთის ხალხისა. აქედან წარმოხდგა მრეწველობაში კრიზისი. ბ. ვიტტემ ამის შესამსუბუქებლად გაადვილა გრედიტი სახელმწიფო ბანკში, რომლის ოპერაციები ამ ხესხზე 1899 წ. იყო 1,415 მილ. მან., 1900 — 1,805 მილ. მ., 1901 — 2,009 მილ. მან. ვერც ამ წოდამ უშველა რუსეთის ბიუჯეტს. მხოლოდ ძირითად პოლიტიკურ ცვლილებას შეუძლიან გამოიყვანოს რუსეთი ამგვარ მდგომარეობიდან.

წარსულ 9 დეკემბერს გაჩნრიეს ქ. შტუტგარტში (გერმანია) რედაქცია რუსულ კონსტიტუციონალურ ორგანო «Освобожение»-სი. ეს გაჩნრეკა მოხდა რუსეთის ელჩის ინიციატივით. იმდევს ადრესები ზოგიერთ რუსეთში მყოფ პირებსა. სხვა ვერაფერი უპოვიათ, რადგან რედაქტორ ბ. სტრუვეს წოდქში მიუღია წინათვე.

23 ნოემბერს 1903 წ. ქვეყანაში რუსეთის დიპლომატიის თხონით დაიჭირეს რუსეთის გამორჩენილი მწერალი სოციალისტი ბ. ბურცევი. ბურცევმა დასწერა დიდი თხსულება «რუსეთი ახი წლის განმავლობადი», სადაც აღწერილია მრძელა დესპოტიზმისაგან განთავისუფლებისათვის. რუსეთის დიპლომატიას ბ. ბურცევი გამომწყავს ანარხისტად. ეს ჩვეულებრივი სრიკია რუსეთის დიპლომატიისა როდესაც უნდა რომ ჩაიგდოს ვინმე ხელში. ბ. ბურცევი გააძევეს შვეიცარიიდან.

«საქართველო» მკითხველებს.

ვინც თანაუგრძობს ქართველ ხალხის მისწრაფებას თავისუფლებისაგან, ვისაც ხურს, რომ ჩვენს ხალხში გავრცელდეს თავისუფალი პოლიტიკური იდეები, არ შეუძლიან ხელი არ შეუწყოს თავისუფალ ორგანოს გავრცელებას. მე შევნიშნე, რომ ზოგიერთი პირები «საქართველოს» წაითხვის შემდეგ ან მალავენ ნომრებს, ან ხევენ გადაცემის მაგიერ. ამგვარი საქციელი სწორედ რომ საკვირველია, მით უმეტეს, რომ არავითარი სახჯელი არ მოვლით მკითხველებს. იმედია მხდალი მკითხველები ამ შენიშვნას მიიღებენ მხედველობაში და მტერს აღარ გაახარებენ შემდეგში.

მკითხველი.

«საქართველო» ფოსტა.

წერილი „სამეგრელოს ქართველებისადმი“ დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.
 გამორიცხულს. — გმადლობთ წერილისათვის. შემდეგ ვისარგებლებთ.
 „შეუთიგებულს“. — თქვენი წერილი მეტად ვრცელია. გამოვა როგორც დამატება.
 „მელიქადა“. — მივიღეთ, დაიბეჭდება.
 გოლიგინის, წინამძღობის და დიმიტრი ეპისკ. წერილის ავტორს: თქვენი წერილი მშვენიერია. ხშირათ მოიწერეთ ასეთი წერილები. მადლობელი ვართ, მხოლოდ თქვენი ფხვედინიმი უნდა მორაწმოდ ფოსტისათვის.
 „სართიას“. — მივიღეთ, არ დაიბეჭდება.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ვაცხადებთ, რომ ვკისრულობთ მსუკრველთ და ვუზამდლოთ; არალეგალური წიგნები, წიკილები, წიგნაკები, პროკლამაციები და გაზეთები.